შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

ქ. თბილისი
2020 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი აწესრიგებს შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯი“ (შემდგომში - ალტერბიჯი) აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მეთოდებსა და პროცედურებს.

1.2 აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მიზანია, ხელი შეუწყოს მათი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებას. აგრეთვე, უზრუნველყოს ალტერბრიჯის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის პერმანენტული შეფასება.

მუხლი 2. შეფასების მიზანი

2.1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნებია:

- ✓ პერსონალის შესაძლებლობების გამოვლინება და მათი შემდგომი განვითარების მხარდაჭერა;
- ✓ ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების დადგენა.

მუხლი 3. შეფასების მეთოდები და პროცედურები

3.1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ალტებრიჯში ხორციელდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, წინასწარ შერჩეული ინსტრუმენტით.

3.2. შეფასების ინსტრუმენტია სისტემატიზებული შეფასების კითხვარები, რომელიც მიმართულია შესრულებული აქტივობების ხარისხისა და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გასაუმჯობესებლად. ასევე, პერსონალის შესაძლებლობების გამოსავლენად და მათ მხარდასაჭერად, შემდგომი განვითარებისთვის.

3.3. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

ა) აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში (თვითშეფასება) ***(დანართი 1)***;

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება შესაბამისი მართვისა და კომუნიკაციის სკოლის დეკანის მიერ ***(დანართი 2)***;

გ) აკადემიური პერსონალის შეფასებაშესბამისი მარათვისა და კომუნიკაციის სკოლის დეკანის მიერ ***(დანართი 3)***;

დ) მოწვეული პერსონალის შეფასება შესაბამისი მართვისა და კომუნიკაციის სკოლის დეკანის მიერ ***(დანართი 4)***;

ე) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ***(დანართი 5)***;

ვ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ[1] ***(დანართი 6).***

3.2. მართვისა და კომუნიკაციის სკოლის დეკანის, პროგრამის ხელმღვანელისა და სტუდენტის მიერ აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომელიც დამუშავებულ შედეგებს წარუდგენს ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურს შეფასების შედეგების საბოლოო ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით.

---

[1] სტუდენტთა მიერ პერსონალის შეფასება კონფიდენციალურია.

3.3. აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიშის (თვითშეფასების) პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს კვლევითი საქმიანობის ცენტრი რომელიც, თავის მხრივ, გაანალიზებს და შეფასების შედეგებს გააცნობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
3.4. აკადემიური/აფილირებული აკადემიური/ მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება მართვისა და კომუნიკაციის სკოლას პროგრამის ხელმძღვანელებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და კვლევითი საქმიანობის ცენტრს.

მუხლი 4. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულები
4.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა (მათ შორის, აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა) უნდა განახორციელოს წინამდებარე წესით დადგენილი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და მთელი აკადემიური წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს ქულათა ზღვრული რაოდენობა:

- **აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში (თვითშეფასება)** –
  პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 80 ქულა;
  ასოცირებული პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 75 ქულა;
  ასისტენტ-პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 60 ქულა;
  ასისტენტისთვის - ჯამურად მინიმუმ 45 ქულა;
- **აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება დეკანის მიერ** - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60 % - ისა;
- **აკადემიური პერსონალის შეფასება დეკანის მიერ** - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 55 % - ისა;
- **მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ** - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50% - ისა;
- **აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ** - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60% - ისა;
- **აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ** - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 70% - ისა.

მუხლი 5. შეფასების პროცესის პერიოდულობა
5.1. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიში ივსება ერთხელ, ყოველი სასწავლო წლის დასასრულს.
5.2. აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სკოლის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება ყოველსემესტრულად.
5.3. აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ ხორციელდება ყოველსემესტრულად.

მუხლი 6. საქმიანობის შეფასების შედეგების მართვა
6.1. საქმიანობის შეფასების შედეგების მართვის, მასზე უკუკავშირის მიზანია ალტერბიჯში გაუმჯობესდეს სწავლებისა და კვლევის ხარისხი პროფესორ-მასწავლებელთა თანამონაწილეობით, ხელი შეეწყოს ამ მხრივ განვითარების პროცესს და შედეგად წარმატებით განხორციელდეს უსდ-ს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა.

6.2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესის შედეგების დამუშავებას, შეჯამებული შედეგების სკოლისათვის და ინდივიდუალურად პერსონალისთვის გაცნობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
6.3. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულ(ებ)თან, შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საჭირო ქმედებების დაგეგმვის მიზნით.
6.4 შეფასების შედეგებზე რეაგირების მიზნით, დაგეგმილი აქტივობების სამოქმედო გეგმას ადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხოლო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების სამოქმედო გეგმას - კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ხოლო აღნიშნული პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
6.5 აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტს შეუძლია გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, ერთჯერადი ფინანსური ჯილდო, ხელფასის მომატება, ტრენინგების, კონფერენციების დაფინანსება და სხვა.
6.6. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო -კვლევითი კომპონენტ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას ეძლევა შესაბამისი რეკომენდაცია. ხოლო ზემოთ აღნიშნული აქტივობების ზედიზედ 2-ჯერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები
7.1. წინამდებარე წესს განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
7.2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დანართი 1

აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში (თვითშეფასება)

1. სწავლების კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები	**- მინიმუმ 40 ქულა**

	ერთ. ქულა	მაქსიმალური შესაძლო ქულა	მიღებული ქულა
1. სასწავლო კურსის განხორციელება წლის განმავლობაში ყოველკვირეული საშუალოდ 6-საათიანი დატვირთვა - 40 ქულა თითოეული საათის დანაკლისი - (-3) ქულა თითოეული დამატებითი საათი - 1 ქულა		52	
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა	10	20	
3. ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა (ქულები მიენიჭება ახალი სასწავლო პროგრამის დამტკიცების შესაბამის წელს)	7	7	
4. მიმართულების ხელმძღვანელობა	5	10	
5. ახალი სასწავლო კურსის შემუშავება	2	4	

2. კვლევის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები - მინიმუმ 30 ქულა			
	ერთ. ქულა	მაქსიმალური შესაძლო ქულა	მიღებული ქულა
6. სტატია საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში	20	40	
7. სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებულ თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science), Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue).	10	40	
8. სტატია ადგილობრივ სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში	3	15	
9. მონოგრაფია/წიგნი	10	10	
10. თავი წიგნში/კრებულში (საერთაშორისო გამოცემა)	10	40	
11. თავი წიგნში/კრებულში (ადგილობრივი გამოცემა)	3	15	
12. საერთაშორისო ბაზებში შემავალი კონფერენციის მასალები[3]	5	10	
13. კონფერენციის მასალები	2.5	5	
14. სახელმძღვანელო	20	20	
15. კვლევითი გრანტი	10	10	
16. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენება / პანელის თავმჯდომარეობა	2.5	10	
17. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	2	10	
18.საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა	5	10	

19.ადგილობრივი რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა	2	4	
20. რეცენზირება საერთაშორისო პუბლიკაციებისთვის	3	6	

3. სოციალური იმპაქტის შეფასების კრიტერიუმები - მაქსიმუმ 10 ქულა			
	ერთ. ქულა	მაქსიმალური შესაძლო ქულა	მიღებული ქულა
21.საჯარო ლექციების მოწყობა	2	10	
22. დარგობრივი ბლოგების შექმნა სხვადასხვა მედია საშუალებისთვის	2	10	
23. სეზონური სკოლების ორგანიზება	5	5	
24. საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება	10	10	
25. სასერტიფიკატო პროგრამის შექმნა და განხორციელება	5	10	
26. სასერტიფიკატო/ტრენინგ კურსის შექმნა და განხორციელება	2	6	

დანართი 2

აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასების კითხვარი სკოლის დეკანის მიერ

დეკანის სახელი, გვარი: _____

სკოლა: _____

აფილირებული აკადემიური პერსონალის სახელი, გვარი: _____

აკადემიური თანამდებობა *(მონიშნეთ შესაბამისი პოზიცია):*

პროფესორი ასოცირებული პროფესორი ასისტენტ-პროფესორი ასისტენტი

<u>კითხვარის შევსების ინსტრუქცია:</u> *გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიანი სკალით, სადაც 1 ქულა ნიშნავს „არ შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს“, ხოლო 5 ქულა ნიშნავს „სრულად შეესაბამება მოთხოვნებს“.*

N	ინდიკატორი	1	2	3	4	5
1	აქტიური მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებასა და ორგანიზაციულ მართვაში					
2	საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განვითარებასა და მოდიფიცირებაში წვლილის შეტანა					
3	სასწავლო პროცესის ეფექტური ორგანიზება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში					
4	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა					

საბოლოო შეფასება: ____ **ქულა**

კომენტარი:

_____

_____

_____

დეკანის ხელმოწერა:

კითხვარის შევსების თარიღი:

დანართი 3

აკადემიური პერსონალის შეფასების კითხვარი სკოლის დეკანის მიერ

დეკანის სახელი, გვარი: _____

სკოლა: _____

პერსონალის სახელი, გვარი: _____

აკადემიური თანამდებობა: *(მონიშნეთ შესაბამისი პოზიცია):*

პროფესორი ასოც. პროფესორი ასისტენტ-პროფესორი ასისტენტი

<u>კითხვარის შევსების ინსტრუქცია:</u> გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიანი სკალით, სადაც 1 ქულა ნიშნავს „არ შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს“, ხოლო 5 ქულა ნიშნავს „სრულად შეესაბამება მოთხოვნებს“.

N	ინდიკატორი	1	2	3	4	5
1	მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაში					
2	საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განვითარებასა და მოდიფიცირებაში წვლილის შეტანა					
3	სასწავლო პროცესის ორგანიზება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში					
4	სკოლის სკოლის საბჭოს მუშაობაში აქტიური მონაწილეობა					

საბოლოო შეფასება: ____ ქულა

კომენტარი:

_____

_____

_____

დეკანის ხელმოწერა:

კითხვარის შევსების თარიღი:

დანართი 4

მოწვეული პერსონალის შეფასების კითხვარი სკოლის დეკანის მიერ

დეკანის სახელი, გვარი: _____

სკოლა: ----------

მოწვეული პერსონალის სახელი, გვარი: _____

<u>კითხვარის შევსების ინსტრუქცია:</u> გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიანი სკალით, სადაც 1 ქულა ნიშნავს „არ შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს“, ხოლო 5 ქულა ნიშნავს „სრულად შეესაბამება მოთხოვნებს“.

N	ინდიკატორი	1	2	3	4	5

1	მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაში					
2	საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განვითარებასა და მოდიფიცირებაში წვლილის შეტანა					
3	სასწავლოს პროცესის ორგანიზება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში					

საბოლოო შეფასება: ____ ქულა

კომენტარი:

_____

_____

_____

დეკანის ხელმოწერა:

კითხვარის შევსების თარიღი:

დანართი 5

აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ

პროგრამის ხელმძღვანელის სახელი, გვარი: _____

სკოლა: _____

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა: _____

პერსონალის სახელი, გვარი: _____

აკადემიური თანამდებობა *(მონიშნეთ შესაბამისი პოზიცია):*

პროფესორი ასოც. პროფესორი ასისტენტ-პროფესორი ასისტენტი მოწვ. პერსონალი

<u>კითხვარის შევსების ინსტრუქცია:</u> *გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიანი სკალით, სადაც 1 ქულა ნიშნავს „არ შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს“, ხოლო 5 ქულა ნიშნავს „სრულად შეესაბამება მოთხოვნებს“.*

N	ინდიკატორი	1	2	3	4	5
1	პროგრამის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა (მათ შორის, სამუშაო შეხვედრებსა და განხილვებში მონაწილეობა)					
2	სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ის მოქმედ რეგულაციებთან თანხვედრაში მოყვანა/სრულყოფა					
3	სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში აქტიურობა					

საბოლოო შეფასება: ____ ქულა

კომენტარი:

_____

_____

_____

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

კითხვარის შევსების თარიღი:

დანართი 6

აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტთა მიერ

სასწავლო კურსის განმახორციელებელის სახელი, გვარი:

სასწავლო კურსის დასახელება:

საგანმანათლებლო პროგრამა:

<u>კითხვარის შევსების ინსტრუქცია:</u> გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიანი სკალით, სადაც 1 ქულა ნიშნავს „არ შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს“, ხოლო 5 ქულა ნიშნავს „სრულად შეესაბამება მოთხოვნებს“.

N	ინდიკატორი	1	2	3	4	5
1	ლექტორმა მკაფიოდ და დეტალურად აგვიხსნა შეფასების სისტემა					
2	ლექტორმა პირველ შეხვედრაზე გაგვაცნო სასწავლო კურსის სილაბუსი					

3	ლექტორი გამოირჩევა პუნქტუალურობით (მათ შორის, დროულად ასახავს შეფასებებს ელექტრონულ სისტემაში)					
4	ლექტორი გამოირჩევა საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით					
5	ლექტორს გააჩნია სფეროს ღრმა და კომპლექსური ცოდნა					
6	ლექციები ინტერაქტიულია					
7	ლექტორი თანმიმდევრულია სასწავლო კურსის განხორციელებისას					
8	ლექტორი იყენებს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ სწავლების მეთოდებს					
9	ლექტორი არის ობიექტური					
10	ლექტორი მუდამ მზადაა, დამატებითი კონსულტაციისა და რჩევებისათვის					
11	ლექტორი გამოირჩევა სტუდენტთა მიმართ ურთიერთპატივისცემითა და ჯეროვანი დამოკიდებულებით					

12. გთხოვთ, დაასახელოთ სასწავლო კურსის განმახორციელებლის ძლიერი და სუსტი მხარეები:

_____

_____

_____

_____

13. საბოლოო ჯამში, რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო კურსის განმახორციელებლით?

☐ 1 ☐ 2 ☐ 3 ☐ 4 ☐ 5

კომენტარი:

_____

_____

_____

_____

ქულათა ჯამი _____

შევსების თარიღი: